გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 129

2022 წლის 8 ივლისი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.45.17.348), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, საქართველოს საპატრიარქოსთვის (204395537) სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქია 2022 წლის 28 მარტის N655 წერილის შესაბამისად, ითხოვს ქალაქ გორში, ჯუღაშვილის ქ. მდებარე 203.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.17.348, სარგებლობაში გადაცემას, სადაც შემდგომში გეგმავენ წმინდა მთავარანგელოზთა ტაძრისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობას (სამრეკლო, საეკლესიო მაღაზია, სამომღვრო ოთახი).

გორის მუნიციპალიტეტის მერიასა და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, საქართველოს საპატრიარქოს (ს/ნ 204395537) სარგებლობაში გადაეცეს ქალაქ გორში, ჯუღაშვილის ქ. მდებარე 203.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.17.348.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო აღნაგობის ფორმით, 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით, გადასცეს საქართველოს საპატრიარქოს (204395537), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ: ქალაქ გორში, ჯუღაშვილის ქ. მდებარე 203.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 66.45.17.348.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**